განმარტებითი ბარათი

პროექტით გათვალისწინებული ავტოსადგომი მდებარეობს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მოფრენის ტერმინალთან არსებული ავტოსადგომის მომიჯნავედ (იხ. სიტუაციური გეგმა).

პროექტის მიხედვით, 3 592,42 კვ.მ ფართობზე მოეწყობა 120 ევტომობილზე გათვლილი ავტოსადგომი, საიდანაც 5 დაეთმობა შშმ პირთა მომსახურებას. აქვე მოეწყობა და დამონტაჟდება 12 ერთეული ჯიხური, რომელიც დაეთმობა ავტომობილების გაქირავების მომსახურების კომპანიებს.

რაც შეეხება მიწის საფარს, არსებული გრუნტი დაიფარება დატკეპნილი ასფალტის ნაფრეზით, ქვიშა-ღორღი 0-40 მმ - 200 მმ-ზე, მსხვილმარცვლოვანი ა/ბეტ. – 70 მმ-ზე და წვრილმარცვლოვანი ა/ბეტ. – 50 მმ-ზე. ბორდიური მოეწყობა ზომებით - 70X30X15 სმ, მ100 ბეტონის საფუძველზე.